ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომის

ოქმიN14

29.06.2023
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბექა ქებულაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თეა ჯუღელი, ჯემალ ბიბილეიშვილი, მანანა ჩიხლაძე, მარეხი ნიჟარაძე, მიხეილ გიორგაძე, ხათუნა არველაძე, ქეთევან ხურციძე.

სულ 7 წევრი.

არ ესწრებოდა: ბესიკ ხამაშურიძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, ანა კოხრეიძე, ნინო ჩიკვაშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბ-ნ ირაკლი შენგელია; საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი თეონა მელქაძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ბექა ქებულაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანების ანგარიში, 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ.

დღის წესრიგთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა, ღია კენჭისყრით ერთხმად დაადგინეს;

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული I საკითხი:

ა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანების ანგარიში, 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბაგა -ბაღების გაერთიანების მმართველმა ბატონმა დავით წიტაიშვილმა.

(ანგარიში თან ერთვის)

ბატონმა დავით წიტაიშვილმა აქვე განმარტა: - „ დამატებით მოგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს ქალაქს მოემსახურება 2 მორიგე ბაღი: მე-12 და მე-17 ბაგა-ბაღები".

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვები.

მათე ჩაფიჩაძე: მოგესალმებით, ინკლუზიური განვითარების მიმართულებით რამდენი სპეც. მასწავლებელი გყავთ და სად მოხდა მათი გადამზადება?

დავით წიტაიშვილი: სპეც. პედაგოგი გვყავს 76. ზოგან ერთი მასწავლებელი, ზოგან 2 მასწავლებელი. ეს გათვლილია ბავშვთა რაოდენობაზე. მასწავლებლები გადაამზადა მასწავლებელთა სახლმა, რომელიც გასცემდა სერთიფიკატს. მინდა ავღნიშნო, რომ პირველი შემთხვევაა, სადაც გადამზადდა ბაღის მასწავლებლები. ეს მოხდა სამ ეტაპად.

თეა ჯუღელი: სასწავლო მასალებთან დაკავავშირებით რა მდგომარეობა გვაქვს?

დავით წიტაიშვილი: ჩვენ წლის დასაწყისში ვიძენთ როგორც საბავშვო ლიტერატურას, ასევე თვალსაჩინო მასალებს.

კომისიამ ღია კენჭისყრით, ერთხმად დაადგინა:

მოწონებულ და დადებითად შეფასებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანების ანგარიში, 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და
სპორტის კომისიის თავმჯდომარე
ბექა ქებულაძე